ტურიზმის ყოველთვიური მიმოხილვა

მარტი 2023

საქართველო

საქართველოს შიდა ტურიზმი 2022 წელს

Research

www.pmcresearch.org

ტურიზმის ყოველთვიური მიმოხილვა

საქართველო

მარტი 2023

- 2022 წელს **შიდა ვიზიტებმა** 16.3 მილიონი ვიზიტი შეადგინა, რაც 3.6%-ით ჩამორჩება 2021 წლის მაჩვენებელს, ხოლო პანდემიამდელ რაოდენობას 14.6%-ით აჭარბებს, რაც მიუთითებს შიდა ვიზიტორების მხრიდან ტურისტულ აქტივობებზე გაზრდილი მოთხოვნის შენარჩუნებაზე, თუმცა შედარებით დაბალი მასშტაბით.
- **მონახულებული რეგიონების მიხედვით,** 2022 წელს, 2021 წელთან შედარებით, მცხეთა-მთიანეთსა და შიდა ქართლში მნიშვნელოვნად შემცირდა ვიზიტორთა რაოდენობა, ხოლო თბილისსა და კახეთში გაიზარდა.
- 2022 წელს, **ვიზიტის საშუალო ხანგრძლივობა** მთლიანად დაუბრუნდა პანდემიამდელ მაჩვენებელს, მას შემდეგ რაც 2020 და 2021 წლებში ვიზიტის ხანგრძლივობის ზრდა შეინიშნებოდა.
- **შიდა ვიზიტორების ხარჯებმა** 3 მილიარდ ლარს მიაღწია, რაც აღემატება როგორც წინა წლის (9.8%-ით), ასევე 2019 წლის (61,7%-ით) მაჩვენებელს.
- კატეგორიების მიხედვით, 2022 წელს, 2021 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა ხარჯები **ტრანსპორტის** (75.5 მლნ ლარით), **განთავსების** (43.7 მლნ ლარით) და **საკვების/სასმლის** (38 მლნ ლარით) კატეგორიებზე.
- 2023 წლის მარტში საქართველოში **სასტუმროს ფასების ინდექსი (სფი)** 2023 წლის თებერვალთან შედარებით 5.0%-ით გაიზარდა, ხოლო 2022 წლის მარტთან შედარებით - 14.9%-ით გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ წლიური ფასების ზრდა განსაკუთრებით მაღალი საოჯახო სასტუმროებისთვის აღმოჩნდა (20.4%).

შიდა ტურიზმის დინამიკა

- 2022 წელს **შიდა ვიზიტების რაოდენობა** წინა წელთან შედარებით 3.6%-ით შემცირდა და 16.3 მილიონი ვიზიტი შეადგინა. თუმცა, მიუხედავად წლიური შემცირებისა, შიდა ვიზიტების რაოდენობამ მაინც 14.6%-ით გადააჭარბა პანდემიამდელ რაოდენობას, რაც მიუთითებს შიდა ვიზიტორების მხრიდან ტურისტულ აქტივობებზე გაზრდილი მოთხოვნის შენარჩუნებაზე, თუმცა შედარებით დაბალი მასშტაბით.





წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

- 2022 წელს შიდა **ვიზიტებისას გათეული ღამეები** საშუალოდ 1.9-ს შეადგენდა, რაც 10.6%-ით ნაკლებია წინა წელთან შედარებით და 5%-ით ნაკლები 2019 წელთან შედარებით. აღსანიშნავია, რომ პანდემიის შემდეგ ვიზიტის საშუალო ხანგრძლივობა დროებით გაიზარდა 2020-სა და 2021 წლებში.

- **ადგილობრივი ვიზიტორების განაწილება მონახულებული რეგიონების მიხედვით** წინა პერიოდების მსგავსი იყო. შიდა ვიზიტების ძირითადი დანიშნულების ადგილი იყო თბილისი (მთლიანი ვიზიტების 22%), რასაც მოსდევდა იმერეთი (17%) და აჭარა (11%). აბსოლუტურ რიცხვებში, მცხეთა-მთიანეთის (შემცირდა 253,700 ვიზიტორით) და შიდა ქართლის (227,100-ით) ვიზიტორების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა. ამავდროულად, 2022 წელს, 2021 წელთან შედარებით, შესამჩნევად გაიზარდა ვიზიტები თბილისსა (140,600-ით) და კახეთში (104,300-ით).

შიდა ტურიზმის ძირითადი ინდიკატორები

- 2022 წელს **შიდა ვიზიტების განაწილება ვიზიტის ძირითადი მიზნის მიხედვით** წინა წლების მსგავსი იყო. ვიზიტების უმეტესობის (51%) მთავარი მიზანი იყო მეგობრების/ნათესავების მონახულება, რასაც მოჰყვებოდა მეორე სახლის (მაგ., აგარაკის) მონახულება (12%) და საყიდლები (12%). ძირითად კატეგორიებს შორის პროფესიული ვიზიტები მთლიანი ვიზიტების მხოლოდ 3%-ს შეადგენდა.





წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

- **შიდა ვიზიტორების ხარჯებმა** 3 მილიარდ ლარს მიაღწია, რაც აღემატება როგორც წინა წლის (9.8%-ით), ასევე 2019 წლის (61,7%-ით) მაჩვენებელს.

- 2022 წელს **ხარჯების განაწილება** წინა პერიოდების მსგავსია. მთლიან დანახარჯებში ყველაზე მეტი წვლილი შეიტანა საყიდლების (32%), საკვების/სასმლის (23%) და ტრანსპორტის (21%) დანახარჯებმა. აბსოლუტური მაჩვენებლებით, 2022 წელს, 2021 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა ხარჯები ტრანსპორტის (75.5 მლნ ლარით), განთავსების (43.7 მლნ ლარით) და საკვების/სასმლის (38 მლნ ლარით) კატეგორიებზე.

სასტუმროს ფასების ინდექსი საქართველოში

- საქართველოში სასტუმროების ფასების ინდექსი[1] 2023 წლის მარტში, 2023 წლის თებერვალთან შედარებით, 5.0%-ით გაიზარდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 7.9%-ით, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 5.4%-ით გაიზარდა.
- თვიური ინდექსი ყველაზე მაღალი მცხეთა-მთიანეთში (25.2%) აღმოჩნდა, ყველაზე ნაკლები კი სამეგრელო-ზემო სვანეთში (-14.9%).
- 2023 წლის მარტში, 2022 წლის მარტთან შედარებით, სასტუმროების ფასების ინდექსი 14.9%-ით გაიზარდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 16.4%-ით, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 20.4%-ით გაიზარდა.
- წლიური ინდექსი ყველაზე მაღალი იყო შიდა ქართლში (29.1%), ყველაზე ნაკლები კი იმერეთსა (0.9%) და სამეგრელო-ზემო სვანეთში (0.9%).

რეგიონი	**სასტუმრო**		**3*, 4*, 5***		**საოჯახო**	
	2023 მარ/ 2023 თებ	**2023 მარ/ 2022 მარ**	**2023 მარ/ 2023 თებ**	**2023 მარ/ 2022 მარ**	**2023 მარ/ 2023 თებ**	**2023 მარ/ 2022 მარ**
კახეთი	1.6%	8.3%	2.7%	3.5%	1.3%	10.4%
იმერეთი	0.4%	0.9%	2.2%	0.8%	-1.7%	0.9%
გურია	23.8%	19.7%	23.8%	19.7%	-	-
ქვემო ქართლი	-4.0%	10.0%	-4.0%	10.0%	-	-
აჭარა	12.3%	19.1%	15.6%	25.1%	-5.6%	-4.4%
რაჭა	-10.6%	8.2%	-	-	-10.6%	8.2%
შიდა ქართლი	21.2%	29.1%	0.0%	17.6%	33.4%	55.6%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	-14.9%	0.9%	-2.7%	0.1%	-24.1%	1.6%
სამცხე-ჯავახეთი	-1.1%	11.3%	19.5%	20.1%	-11.3%	3.1%
მცხეთა-მთიანეთი	25.2%	9.4%	49.2%	24.4%	-0.8%	-13.4%
თბილისი	1.3%	16.0%	-0.1%	14.4%	20.6%	46.8%
სულ ფასების % ცვლილება	**5.0%**	**14.9%**	**7.9%**	**16.4%**	**5.4%**	**20.4%**

1 სასტუმროების ფასების ინდექსის გაანგარიშება მოხდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით. უმცირესი ერთობლიობის ინდექსი გამოთვლილია Jevons-ის ინდექსით. ასევე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზოგიერთი რეგიონისთვის (როგორიცაა შიდა ქართლი და რაჭა), საკმაოდ მცირეა მონაცემთა ბაზაში არსებული სასტუმროების რაოდენობა, შესაბამისად ინდექსი სრულად ვერ ასახავს რეგიონში არსებულ სასტუმროს ფასების ცვლილების ტენდენციას.

სასტუმროს საშუალო ფასები

- 2023 წლის მარტში, საქართველოში 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა[2] **167 ლარი** შეადგინა, ხოლო 4-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა - **275 ლარი**. საოჯახო ტიპის სასტუმროების[3] საშუალო ფასმა **112 ლარი** შეადგინა.

- 5-ვარსკვლავიან სასტუმროთა საშუალო ფასმა მარტში **456 ლარი** შეადგინა. თბილისში ამ ტიპის სასტუმროებში, სტანდარტული 2-ადგილიანი ნომრის საშუალო ფასმა 559 ლარი შეადგინა, კახეთში - 552 ლარი, სამცხე-ჯავახეთში - 458, ხოლო აჭარაში - 429.

.

3*, 4* და საოჯახო ტიპის სასტუმროთა საშუალო ფასები
რეგიონების მიხედვით (მარტი 2023, ლარი)



2 შედეგები მიღებულია საქართველოს 10 რეგიონში და თბილისში 3*, 4*, 5* და საოჯახო ტიპის სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასებზე დაკვირვების შედეგად. სასტუმროების შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ანალიზი მოიცავს booking.com-ზე დარეგისტრირებულ, საქართველოს

საოჯახო ტიპის სასტუმროების 25%-ს (456 ობიექტი). 3*, 4* და 5* სასტუმროების ფასებზე მონაცემების მიღება ხდება სასტუმროებთან დაკავშირების საფუძველზე, ხოლო საოჯახო სასტუმროების ფასებზე ინფორმაციის წყარო booking.com-ია. საშუალო ფასები გამოითვლება

3 საოჯახო ტიპის სასტუმრო - სასტუმრო, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნომრების მცირე რაოდენობა და სადაც სტუმრებს მომსახურებას უწევს ოჯახი.

ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები

	2016	2017	2018	2019	2020	I 2021	II 2021	III 2021	IV 2021	2021	I 2022	II 2022	III 2022	IV 2022	2022
მშპ მიმდინარე ფასებში განთავსების საშუალებებისა და საკვები ობიექტების აქტივობებიდან (მლნ)	1054.1	1437.5	1800.0	2223.0	1204.5	213.1	439.2	604.4	527.0	1783.6	360.9*	536.2*	831.1*	646.2*	2374.5*
საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობა (ათასი)	6720.0	7902.5	8679.5	9357.9	1747.1	134.7	351.3	815.4	579.8	1881.3	576.5	1049.4	2266.7	1534.3	5426.9
ტურისტების რაოდენობა (ათასი)	3297.3	4069.4	4756.8	5080.5	1087.0	116.6	305.8	670.4	484.7	1577.5	456.0	749.3	2082.6	948.8	3652.9
საერთაშორისო მოგზაურობიდან შემოსავალი (მლნ აშშ დოლარი)	2110.7	2704.3	3222.1	3268.7	541.7	53.6	246.1	566.0	379.3	1244.9	393.7*	748.8*	1377.8*	999.4*	3519.7*
ქართველი მოგზაურების დანახარჯები საზღვარგარეთ (მლნ აშშ დოლარი)	386.3	463.6	524.7	657.2	180.5	19.7	37.1	62.6	64.5	184.7	72.2*	103.5*	118.6*	114.3*	408.6*
პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ჰორეკა სექტორში (მლნ აშშ დოლარი)	118.1	111.4	106.0	119.3	-247.2	-1.0	-8.7	5.4	-3.0	-7.4	10.6*	6.9*	16.1*	-2.0*	31.5*

* პირველადი მონაცემები

სამართლებრივი შეტყობინება

ვებგვერდზე წარმოდგენილი პუბლიკაციები მომზადებულია PMC კვლევითი ცენტრის მიერ მხოლოდ საინფორმაციო და/ან მარკეტინგული მიზნებისთვის. პუბლიკაციებში ასახული ინფორმაცია წარმოადგენს მხოლოდ რჩევას და, შესაბამისად, მკითხველი თავად არის პასუხისმგებელი შინაარსის ნებისმიერ ინტერპრეტაციაზე. PMC კვლევითი ცენტრი არ იღებს პასუხისმგებლობას მკითხველის მიერ მასალების გამოყენების შედეგად წარმოშობილ პრეტენზიებზე. პუბლიკაცია წარმოდგენილია ისე, „როგორც არის“, ყოველგვარი გამოხატული ან ნაგულისხმევი რეპრეზენტაციისა და გარანტიის გარეშე.

ზემოთ მოყვანილი აბზაცის ზოგად გზავნილთან წინააღმდეგობის გარეშე, PMC კვლევითი ცენტრი არ იძლევა გარანტიას, რომ:

პუბლიკაცია მუდმივად ხელმისაწვდომი იქნება;

რომ პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია არის სრული, ჭეშმარიტი, ზუსტი ან არ არის შეცდომაში შემყვანი.

PMC კვლევითი ცენტრი იტოვებს უფლებას, დროდადრო შეცვალოს პუბლიკაციების შინაარსი ისე, როგორც ამას მიზანშეწონილად ჩათვლის.

PMC კვლევითი ცენტრი თავიდან იხსნის სხვა მხარეების უფლებების დარღვევასა ან PMC კვლევითი ცენტრის პუბლიკაციების გამოყენების შედეგად გამოწვეულ ნებისმიერ ზიანზე ყოველგვარ პასუხისმგებლობას. PMC კვლევით ცენტრს არ აქვს მკითხველის წინაშე პასუხისმგელობის ვალდებულება (კონტრაქტის კანონით, დელიქტური კანონით თუ სხვაგვარად) პუბლიკაციის შინაარსთან, გამოყენებასა ან პუბლიკაციასთან კავშირის ნებისმიერ სხვა ფორმასთან დაკავშირებით.

მკითხველი აღიარებს, რომ როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის სუბიექტი, PMC კვლევითი ცენტრი დაინტერესებულია, შეზღუდოს თავისი ოფიცრებისა და თანამშრომლების პირადი პასუხისმგებლობა. მკითხველი თანხმდება, რომ მისთვის პუბლიკაციით გამოწვეული ნებისმიერ დანაკარგის შესახებ პრეტენზიებს არ წამოუყენებს პირადად PMC კვლევითი ცენტრის ოფიცრებს ან თანამშრომლებს.

მკითხველი თანხმდება, რომ გარანტიებისა და ვალდებულებების შეზღუდვები, რომლებიც მითითებულია ამ სამართლებრივ შეტყობინებაში, იცავს PMC კვლევითი ცენტრის მკვლევრებს, ოფიცრებს, თანამშრომლებს, აგენტებს, შვილობილ კომპანიებს, მემკვიდრეებს, უფლებამოსილ პირებს და ქვეკონტრაქტორებს, ისევე როგორც თავად PMC კვლევით ცენტრს.

თუ ამ სამართლებრივი შეტყობინების რომელიმე დებულება მოქმედი კანონმდებლობით არის ან აღმოჩნდება არააღსრულებადი, ეს არ იმოქმედებს პუბლიკაციის სხვა დებულებების აღსრულებადობაზე.

ნიკა კაპანაძე
მკვლევარი
n.kapanadze@pmcginternational.com

ნანა ქაჯაია
უმცროსი მკვლევარი
n.kajaia@pmcginternational.com

გიორგი ხიშტოვანი
კვლევითი დირექტორი
g.khishtovani@pmcginternational.com

მის.: 61 აღმაშენებლის გამზირი, მე-3 სართული, თბილისი, 0102, საქართველო.
ტელ: (+995 32) 2921171, 2921181
ელ. ფოსტა: research@pmcginternational.com
ვებსაიტი: pmcresearch.org